LOUIS DE ROCHECHOUART, *Journal de voyage à Jérusalem*, édité par C. Couderc, in *Revue de l'Orient latin*, vol. 1, 1893.

ლუი დე როშეშუარი XV საუკუნის ავტორი, ფრანგი სასულიერო პირი, სენტის ეპისკოპოსი. 1461 წელს წმინდა მიწაზე გაემგზავრა მომლოცველობის მიზნით. მან შექმნა „იერუსალიმში მოგზაურობის დღიური", რომელშიც აღმოსავლეთ ქრისტიანებზე, კერძოდ, ქართველებსა და სომხებზეა საუბარი. თხზულებიდან ჩანს, რომ როშეშუარი საკმაოდ განათლებული სასულიერო პირია, იცნობს ჰომეროსს, ვერგილიუსს, ჟაკ დე ვიტრის, ბედა პატივდებულს, ხოლო მოგზაურობის წინ ფრანცისკანელთა მონასტრის ბიბლიოთეკაში სპეციალურად გაეცნო არსებულ ინფორმაცია წმინდა მიწაზე არსებული ძეგლების შესახებ. მისი მოგზაურობის დღიური ლათინურადაა დაწერილი.

სომხების შესახებ

Armeni a Latinis modicum discrepant, sed inter eos et Grecos odium implacabile, et in contumeliam Grecorum bis comedunt carnes, in die Veneris, annuatim. Sunt amicissimi nostri ; osculantur manus nostras et venerantur nos plurimum ; habent habitum fere similem Grecis. Habent suum episcopum sive patriarcham in domo morantem propria, quam habent Hierosolimis. Habent etiam terras et possessiones … De fide eorum sciendum est quod non celebrant Nativitatem Christi, sed tempore Nativitatis jejunant, et in die Epyphanie solemnizant. In ceteris satis conveniunt nobiscum. Habent propriam litteram. Armeni custodiunt locum Calvarie, ecclesiam Sancti Jacobi Majoris et locum in quo stat lapis positus ad hostium monumenti, qui dicitur domus Cayphe[1] .

[1] 83. 255.

ლათინებისაგან მცირედით განსხვავდებიან, მაგრამ მათსა და ბერძნებს შორის შეურიგებელი სიძულვილია. ბერძნებისაგან განსხვავებით, ხორცს წელიწადში ორჯერ ჭამენ, პარასკევობით. ისინი ძალიან გვემეგობრებიან, ხელებს გვიკოცნიან და დიდ პატივს გვცემენ. მათი ჩაცმულობა თითქმის იდენტურია ბერძნების ჩაცმულობის. მათ საკუთარი ეპისკოპოსი თუ პატრიარქი ჰყავთ, რომელიც განსაკუთრებულ სახლში ცხოვრობს, რომელიც იერუსალიმში მათ ეკუთვნით. მათ ასევე აქვთ მიწები და სხვა საკუთრება...მათი რწმენის მიხედვით, ისინი არ აღიარებენ ქრისტეშობას, თუმცა მარხულობენ შობის პერიოდში და ამ დღესასწაულს აღნიშნავენ ნათლობის[2] დღეს. სხვა საკითხებში ჩვენნაირები არიან. მათ საკუთარი ალფავიტი აქვთ. ისინი იცავენ გოლგოთას მთას, წმინდა იაკობის ეკლესიას და იმ მონუმენტის შესასვლელის ადგილს, სადაც ქვა დგას, რომელსაც კაიფას სახლს უწოდებენ.

ქართველების შესახებ

Georgiani dicuntur qui sanctum Georgium solemnizant, velmelius a Georgio heretico, cujus sequuntur errorem, barbam et comam immensam nutrientes, gestant pilleos immensos. Isti, tam laici quam ecclesiastici, coronas deferunt, sed laici quadratas, ecclesiastici vero rotundas. Sacrifiant in fermentato pane et fere in omnibus imitantur Grecos. Litteram tamen propriam habent. Tenent altare sub monte Calvarie et locum in quo fuit inventa crux[3] .

ქართველებს იმიტომ ეძახიან, რადგან წმინდა გიორგის ეთაყვანებიან ან უფრო სწორედ, გიორგი ერეტიკოსის გამო, რომლის შეცდომასაც მიჰყვებიან. ისინი გრძელ წვერს და თმას ატარებენ და ასევე უზარმაზარ ფეტრის ქუდებს. ქართველები როგორც საერო, ისე სასულიერო პირები ტონზურას ატარებენ, საეროები - კვადრატულს, ხოლო

[2] ეპიფანიის
[3] გვ. 256.

კლერიკალები - მრგვალს. ისინი მსხვერპლშეწირვას ახორციელებენ საფუარიანი პურით და თითქმის ყველაფერში ბერძნებს ბაძავენ. თუმცა მათ საკუთარი ანბანი აქვთ. ისინი იცავენ გოლგოთის საკურთხეველს და ასევე იმ ადგილს, სადაც ჯვარი იპოვეს.

თარგმნა მ. ჯავახიშვილმა

ქვეყნდება პირველად